572
2003
ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

უმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

№4-5 2003 წელი

ხალხური პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არშის კლდეს ვეფხვი ავკუწე,
სამჯერ საომრად მეტია,
ვაჟკაცს გულადზე — ჭურადი
სამის გაფრენით მეტია;
კაცი რო კაცსა არ იცნობს,
სიკვდილზე გარდამეტია.

* * *

თხას უთხრეს: მგელი მამკვდარა,
თხამ ნავარდი ჰქნა, გაიქცა,
თხაო, ნუ გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა,
იმას რო დარჩა ლეკვები,
ისინიც მგლებად მაიქცა.

მუმლი მუხასაო

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
....
მუმლი სწუდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო;
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამმიმდაო,
წყალში ჩავარდაო,
წყალი შეგუბდაო,
ნაპირს გადვიდაო,
მუმლი შეწუხდაო,
მალე დაიხრჩვაო,
მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო.

ქალის ნათქვამი

ასეთნი მამის ძმანი მყვან,
მთას ქორებულად ჰქრიანო,
ვაჟასა, შენისთანასა,
წელ-ზეით ხმალსა ხსნიანო,
სწადიან დაატყვევებენ,
სწადია დაიხსნიანო.

* * *

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის
მოძმე და მთელი ერია.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

შოკოლადის ბებია და უკუდო მელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მოხუც ქალს შოკოლადის ბებიას ეძახდნენ. მართლა შოკოლადისა კი არ იყო, სიყმაწვილეში შოკოლადის კნატუნი უყვარდა და სიბერეშიც სიამოვნებით მიირთმევდა.

ერთხელ შოკოლადის ბებიამ შოკოლადისაგან მამალი გამოძერწა. მამალი, რა თქმა უნდა, შოკოლადისფერი გახლდათ; ნისკარტი, ბიბილო, ფრთები, დეზები და ნამგალივით მოხრილი ბოლო შოკოლადისა ჰქონდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ნამდვილი მამალივით ყიოდა, ოღონდ „ყიყლიყოს“ მაგიერ — შოკოლადიი, შოკოლადიი! — გაიძახოდა.

გაიგო მელიამ ტყეში შოკოლადის მამლის უცნაური ყივილი და მისი ახლოს ნახვა მოისურვა, მიჰყვა, მიჰყვა იმ ხმას და შოკოლადის ბებიას ეზოში ამოყო თავი.

მელიამ მიიხედ-მოიხედა, თვალი მოჰკრა შოკოლადის მამალს და პირზე ნერწყვი მოადგა. აღარც დაუხანებია, ეცა მამალს და ტყისკენ წაიცუნცულა.

ბევრი ივიშვიშა შოკოლადის ბებიამ, მაგრამ რაღას იზამდა — ადგა და სხვა მამალი გამოძერწა შოკოლადისგან.

ის მამალიც შოკოლადი, შოკოლადიო, ყიოდა.

მელიას რომ მამალი ვეღარ მოეტაცა, ბებიამ ეზოში შოკოლადის ქოფაკი ააყეფა.

ქურდბაცაცა მელიამ, რაკი ერთხელ იგემა შოკოლადის მამალი, კიდევ მოიწადინა ყელის ჩაგემრიელება, მაგრამ გაძვრა შოკოლადის ბებიას ეზოში თუ არა, უცებ საიდანღაც შოკოლადის ქოფაკი გამოუვარდა.

შიშით გულგახეთქილი მელია ღობეს ეცა. საწყალმა გაძრომა ვეღარ მოასწრო, ქოფაკმა კუდში სტაცა პირი და მოაკვნიტა.

მელიას ფუმფულა ბეწვიანი კუდი ძალიან მოეწონა შოკოლადის ბებიას და პალტოს საყელო იმით დაიმშვენა.

— შოკოლადიი, შოკოლადიი! — ყივის ბებიას ეზოში შოკოლადის მამალი.

ეს ხმა კარგად ესმის უღრან ტყეში შეყუჟულ უკუდო მელიას და თათით ჩუმად ცრემლს მოიწმენდს ხოლმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტუმრად მწერალთან

ჩემო პატარა მეგობრებო! მადლობა უნდა მოვახსენო „დილის“ რედაქციას, რომ საშუალება მომცა კიდევ ერთხელ გამომეხატა თქვენდამი თაყვანისცემა.

ამ გრძნობით ვწერ ბავშვებისათვის მოთხრობებსა და ზღაპრებს, რომლის წიაღსაც ამ ჟურნალმა მაზიარა ჯერ კიდევ როდის, აუჰ, რა დიდი დრო გასულა...

თუ ერთხელ შეაღწიე ბავშვთა სამყაროში, იქიდან თავის დახსნა — ნურას უკაცრავად!

ხალისი ამ საპატიო შრომისა დღესაც არ გამნელებია!

ქეთევან ჭილაშვილი

ერთხელ ჩემმა პატარა შვილიშვილმა თეთრი პლასტილინისგან გამოძერწილი ცხენი მაჩუქა და მითხრა: ბებო, ეს მფრინავი რაშია, სადაც გინდა, იქ გაგაქროლებსო!

— მართლა? — შევიფერე ნათქვამი. შვილიშვილს ხომ უნდა დავუჯერო? თუკი ის მიჯერებს?!

უმალ რაშს სადაკე მოვწიე და ჰერიი... საით? საით და ჩემს ბავშვობაში... თეთრი რაში უნაბის ხეზე გამოვაბი, რომელიც ქოლგასავით ედგა ჩვენი სახლის პატარა ეზოს.

თვალწინ გამიცოცხლდა ამ ხისქვეშ გამართული წარმოდგენები, თანატოლები, მეზობლები, ყურში ჩამესმა მოხეტიალე მუსიკოსის ილიკო ქურხულის ვიოლინოს ნაზი ჰანგი: მოგონებები ერთმანეთს ეცილებოდნენ; მოდი, წიგნად შეკრავ-მეთქი, — გავიფიქრე და ასეც მოვიქეცი. ვუწოდე „უნაბი — ადგილის დედა“.

გიამბობთ ერთ მათგანს.

მეშვიდე კლასში ვიყავი. ბავშვის ცელქობა რა გასაკვირია, მაგრამ ილიკო თუნარელი მეტისმეტი იყო, თუმცა — უბოროტო! დედამისი ხშირად იყო სკოლაში, მეგობრობდა ჩვენთან. ერთხელ სახლში მიგვიწვია და მუსიკალური სათამაშოები გადმოგვიწყო: სტვირები, კასტანეტები, დოლი, დასარტყმელი თეფშები და შემოგვთავაზა შეგვექმნა „ჯაზი“. როიალზე გუგული დაუკრავსო. გუგული — შემდგომში თვალსაჩინო კომპოზიტორი დავით თორაძე!

იქვე ავიტაცეთ დეიდა ნინას ნათქვამი და საქმედაც ვაქციეთ. იმხანად ჯაზური მუსიკა ჩვენში ახალი ხილი იყო. ღია ფანჯრებიდან ხშირად ისმოდა პატეფონის საამო ჰანგები — ფოქსტროტი, ტანგო, ვალსბოსტონი. საზოგადოება ეუფლებოდა ევროპულ ცეკვებს. ჩვენ, ჭინკები, მოდას ჩამოვრჩებოდით? მალე სახელიც გავითქვით... მახსოვს პირველად ილიკოს მამის სამსახურში გამოვედით თანამშრომელთა საზეიმო სხდომაზე. რომელიღაც ქარხნის მუშათა კლუბშიც მოვიწონეთ თავი. მქუხარე ტაშით გვაჯილდოებდნენ; მეტი რა გვინდოდა? ისე ვიჯგიმებოდით, რომ იტყვიან, ცხვირზე მამალ ბუზს არ ვისვამდით...

დეე, ეს მცირე მოგონება იყოს ჩემი წასული მეგობრების ხსოვნა, თქვენ კი იქნებ ბიძგი მოგცეთ უკეთესი გასართობის მოსაფიქრებლად, ვინ იცის...

გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას! ჯერ სწავლა, მერე — გავლა! ეს კი დაიმახსოვრეთ!

თქვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲢᲘᲚᲗᲐᲜ

უმაწვილები კლდიან ფერდობს
მიჰყვებიან ჭრიამულით,
უმღერიან მშობელ მხარეს,
აქვთ ლაშქრობა მხიარული.
აგერ ციხე შატილისა,
სიამაყე წინაპართა, —
მათ ვაჟკაცურ მოძახილზე
გაიცრიცა ნისლის ფარდა.
ახალისებს გოგო-ბიჭებს
მომავალზე დაფიქრება,
შენი მიწა არ გიუვარდეს,
არ ეტრფოდე, არ იქნება.
სიო ფოთლებს აშრიალებს,
მოხატულებს დილის ცვრითა,
ცხრათვალა მზე ცხრაჯერ მეტად
იღიმება ლაჟვარდ ციდან.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲔᲒᲑᲐᲚᲔ

ხილის ბაღში დააბიჯებს,
ნერგებს უვლის ალერსით,
სიხარული ჩასდგომია
მოციმციმე თვალებში.
მისი სიობოც შეემატა
მშობელ მიწის მშვენებას,
აქ სიცოცხლე გააღვივეს
ჰაწაწინა ხელებმა.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲘ

ატკაცუნებენ შოლტებს
ხან სწრაფად, ხანაც დინჯად,
ეველა ერთგულად იცავს
თავის საბრძოლო მიჯნას.
დამარცხებულნი წრეში,
გამარჯვებულნი გარეთ, —
ათამაშებენ მკლაეებს,
აბრიალებენ თვალებს...
და აამაეებთ ბიჭებს
დასაკუთრება ლახტის,
გადადის ხელით-ხელში
გამარჯვებულის ტახტი...

მხატვარი
ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲔ

მშობლიური ტყე

ერთ ტყეში, ბებერი მუხის დიდ ფუღუროში, ციყვების ოჯახი ბინადრობს: დედ-მამა და შვილები, ძმები გუდუნა და ბუთუნა.

იქვე, ტყის პირას, ცხოვრობს რვა წლის ტყუპი დაძმა — ნატო და ირაკლი. ისინი, რა თქმა უნდა, მშობლებთან ერთად, ყოველ ზაფხულს დასასვენებლად მიემგზავრებიან. სადაც მოესურვებათ, იქ შლიან კარავს და რამდენიმე კვირის შემდეგ მეტად მხიარულები ბრუნდებიან.

ერთხელ დედა ციყვმა მამა ციყვს უთხრა:

— ნეტავ ის ადგილი მაჩვენა, საიდანაც ასეთი ბედნიერები ბრუნდებიან ჩვენი მეზობლები!

— ბედნიერები იმიტომ ბრუნდებიან, რომ თავიანთი სახლ-კარი ყველაფერს ურჩევნიათ. მე, მაგალითად, ჩვენს ტყეზე უკეთესი ადგილი დედამიწის ზურგზე არ მეგულება! — უპასუხა მამა ციყვმა.

— ჰოო, მართალი ხარ! — დაეთანხმა დედა ციყვი.

მათ საუბარს გუდუნა და ბუთუნაც ისმენდნენ.

— არა მგონია, ასე იყოს, — უთხრა გუდუნამ ძმას, — მოდი, ჩვენი მეზობლები წასასვლელად რომ მოემზადებიან, მანქანაში დავიმალოთ და გავყვეთ.

— რა ჭკვიანი ხარ! — აღფრთოვანდა ბუთუნა და სიხარულისგან ხან ერთ ტოტზე გადასკუპდა, ხან მეორეზე.

ერთ საღამოს დედამ ნატოსა და ირაკლის უთხრა:

— ბავშვებო, დროა, ივახშმოთ და დაიძინოთ. ხომ იცით, დილაადრიან უნდა გავუდგეთ გზას.

— გაიგე?!

— გაიგე?!

ერთმანეთისაკენ ისკუპეს გუდუნამ და ბუთუნამ. ერთიმეორეს შუბლებით შეასკდნენ, ტოტზე თავი ვერ შეიმაგრეს და მიწაზე გაგორდნენ.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავთ, ვაითუ დროზე არ გაგვეღვიძოსო. გამთენიისას ქურდებივით ფეხაკრეფით გამოვიდნენ ფუღუროდან და მანქანის მისაბმელზე დაწყობილ ბარგში ჩაიმალნენ. მალე ბავშვები და მათი მშობლებიც გამოჩნდნენ, მანქანა დაიძრა და...

— ჰერიი, წავედიით! — დასძახეს ციყვებმა.

კარავი ტყის პირას გაშალეს.

გუდუნამ და ბუთუნამ ცარიელ ფუღუროს მიაგნეს, დაასუფთავეს, კიდეზე ჩამოსხდნენ და შინიდან წამოღებული ორიოდ კაკლით დანაყრდნენ. ტუჩებს აცმაცუნებდნენ და თან არმარეს ათვალიერებდნენ. მოიხიბლნენ იქაურობით. ერთი-ორი მეზობელიც გაიცნეს. მალე ტყე დაშსვენებლებით აივსო. ზოგი ბურთაობდა, ზოგი ბადმინტონს თამაშობდა, ზოგი კითხულობდა, ზოგი ჰამაკში ნებივრობდა... პატარები თამაშით რომ დაიღლებოდნენ, ჰამაკში ჩაკოტრიალდებოდნენ ხოლმე, ცოტა ხნის შემდეგ კი წაიხემსებდნენ, ათასნაირი ნუგბარით ჩაიტკბარუნებ-

ბადრი მეგრელიშვილი

მაჩვი

მაჩვი ქურდობს მაჩინა,
ტარო არ შეგვარჩინა,
მთვარე როცა ქათქათებს,
მობაჯბაჯებს მაშინა.
ბაბუ ხაფანგს ამზადებს,

დაწნა ორი არშინი,
აქეთ ბებო ბუტბუტებს
ნერვები აქვს ამღილი,
ბაბუმ უთხრა ბებიკოს:
მითხარ, რამ შეგაშინა?
ხვალ ხაფანგით დავიჭერ
მაგ შენ უჩინმაჩინას.

თხუპნია სოფო

სოფო, სოფო თხუპნია,
გიჭამია თუთაო,
ცხვირმა მეტი შეჭამა,
თუ ჰატარა ტუჩმაო?

მხატვარი ვაჟა ქურხული

დნენ პირს და თამაშს აგრძელებდნენ. სიამოვნებდათ ციყვებს მათი ცქერა. ფოტოაპარატის ჩხაკუნზე კი ჭკუას კარგავდნენ. ერთხელ ხიდან ჩამოხტნენ, ბავშვებს მხრებზე დაახტნენ და კადრშიც მოხვდნენ. აჟრიამულდნენ პატარები, ყველას მათი შეხება და მოფერება მოუნდა, მაგრამ აკრობატი ციყვების დაჭერა ვერავინ მოახერხა. ასეთი მხიარული იყო ყოველი დღე. საღამოობით კი, როცა დამსვენებლები ტყეს ტოვებდნენ, ტყის ბინადარნი მათ ნასუფრალზე იკრიბებოდნენ და ისე ილხენდნენ, ქორწილი გეგონებოდათ.

სამი კვირა გავიდა. მშობლიური ტყე არცერთს არ ახსენებოდა. ნატოსა და ირაკლის მხიარულებასაც საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ერთ დღეს ბავშვებმა მოიწყინეს, გულუნამ კი ნაღვლიანად იკითხა:

— ნეტავ დედა და მამა ქურდბაცაცა წრუწუნა პაწოს არ შეურიგდნენ?

— ნეტავ რამდენი ბაჭია ეყოლა მოკლეკუდას? — აჰყვა ბუთუნა.

დიდი დრო არ გასულა და ციყვებმა შენიშნეს, რომ მათი მეზობლები გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ერთმანეთს მუდარით სავსე თვალებით შეხედეს...

მშობლიური ტყე რომ გამოჩნდა, მანქანის გაჩერებას არ მოუცადეს, ისე ისკუპეს ციყვებმა. გარბოდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ:

— დედა, მამა, მეზობლებო, გამოიხედეთ, ჩვენ დავბრუნდით, დავბრუნდიიით!!!

მზია ჩხეტიანი

კალია

იცი, რომ
დიდი მინდვრების იქით,
შორს, ვერცხლისფერი ვერხვის ჩეროში,
ერთი უნო სამეურეს ძირში,
ჭრელი ჰეჰლების სამფლობელოში,
ცხოვრობს ხტუნია მწვანე კალია
და იმ კალიას
ქვეყნის ვალი აქვს?

ქვეყან,
ბარში თუ მთიან ალაგას,
ხოდაბუნები ვაარანაგა,
მოსჰო ხორბალიც,
ქერიც და ფეტვიც,
თუ არა გკერა,
ჰკითხე და გეტყვის!
დიდი მაგნეა, ოჰ, ეს კალია
და იმ უსაქმურს
ქვეყნის ვალი აქვს!

მხატვარი
გია ლაფაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო არსენიშვილი

ქამანდი

თვითონ მოვქსოვე ქამანდი,
კოჭზე დავასვი სამსჭვალნი.
ოთხად გავჭიმე მაფი და
ჩავშალე, როგორც ნაწნავი.
მერე ვიხტუნეთ ქამანდზე
მე, მაიამ და ქალთამზემ.

ქამანდი — ცხოველის დასაჭერი ყულფიანი სასროლი თოკი.
სამსჭვალი — იგივეა, რაც ლურსმანი.

დალი მაზმიშვილი

გიგა და გეგა

აპრიალებს ბებო თონეს,
გიგა გეგას ჩასჩურჩულებს, —
რა სჯობია ნაზუქ-პურებს,
ნაკვერცხალზე დაბრაწულებს.
ორომიდან წამოკრეფილს,
მთვარესავით გაბადრულებს,
ყუებიანს, გემრიელებს,
ერთიანად დაშაქრულებს.

ორომი — თხელი ფიცარი ცომის გუნდათა გასაბრტყელებლად და თონესთან მისატანად

მარიამ წიკლაური-ძიძიგური

მრეცხავი კუ

დღეს,
სისხამ დილით,
საპნით და ლილით,
მოადგა რუს
მრეცხავი კუ.
წყლისპირზე აქვს აგარაკი
აჩონჩხლილი ქარქარაკით.
კუ გახლავთ რეცხვის ოსტატი,
უყვარს ბახი და მოცარტი.
წაკითხული აქვს „კომბლე“,
და ეხმარება ობლებს.
მზითევში ერგო უთო,
თოკი და სამი სარჭი,
ერთიც უმირო, მველი,
საგვარეულო სათლი.
რეცხვაში ათენ-აღამებს
თეთრეულს დინჯად ახამებს.
ავლებს და ავლებს
ფლას-ფლუსებს რუში,
სველი აქვს მუდამ
წინსაფრის რუში.
მერე წურავს და აშრობს
ვერ დაუწუნებ ნაშრომს.
— ახლა რას რეცხავს?
— ცხრაფეხას შარვალს.
რა ქნას, თუ ტოტი
აქვს შარვალს მრავლად?!

ქარქარაკი — წყლის მიერ ნაპირზე გამონარიყი წვრილი შეშა

მხატვარი
ედურად ამბოკაძე

ჩვენთა შემოქმედება

ბიჭიკო ოჩიგავა
11 წლის,
აბაშა, სოფ. სეფიეთი

გაზაფხულის დილა

გაზაფხულის დილაა
ლამაზი და მშვიდი,
ლურჯ ცაზე
დასეირნობს
მოჭიკჭიკე ჩიტი.
თან მზემ გამოანათა,
მთები
სულ მთლად გაათბო,
თოვლის თეთრი საბანი
მწვერვალზეც კი დაადნო.

გაგა ზერეკიძე, 11 წლის

* * *

დედა, სიცოცხლის დიდო ლამპარო,
შენ რომ მაჩუქე ლამაზი სული,
რით გაგახარო, ჩემო ლამაზო,
რით გაგიხარო ლამაზი გული.
ბევრი ვიფიქრე, ჩემო დედიკო,
მარტო დედიკო? მამიკოც შენ ხარ,
ვიფიქრე და ამ კოცნაზე დიდი
სამადლობელი ვერ მოვიფიქრე.

თინიკო ლოგაძე

თიკო ლიფონავა
9 წლის

ბათუმის აკადემიური გიმნაზიის III კლასის მოსწავლეები

გიორგი ბერია

ყველაზე მთავარი

იცით, ვინ არის ყველაზე მთავარი?
დედაა მთავარი, მამაა მთავარი,
ბებოა მთავარი, ბაბუა მთავარი,
და, უპირველესად, ღმერთია მთავარი.

მასწავლებელი

მასწავლებელს მოსწავლეთა
სწავლის შუქი აუნთია,
ჩვენაც ვიყოთ დამჯერენი,
ჩვენთვის გული გაუღია.

ჩვენი ეზო

ლამაზია ჩვენი ეზო,
სავსე მწვანე ხეებით.
სულ ზედ ვეფოფინებით
ჩვენი გამრჯე ხელებით.

გიორგი ჩიკვაიძე
9 წლის

ქეთი რევია,
12 წლის

ლაშა კურტანიძე,
რუსთავის
მე-2 საშ.
სკოლის
მოსწავლე

მარიამ ივანიშვილი,
7 წლის

ინტელექტუალობანა

თამაში მათთვის, ვინც გულმოდგინედ კითხულობს „დილის" საყმაწვილო ენციკლოპედიას



	1	2	3	4	5	6
ა	15	10	5	25	25	10
ბ	30	20	25	10	10	20
გ	5	30	10	5	30	20
დ	30	30	15	5	15	5
ე	25	10	15	20	5	30
ვ	25	25	15	20	20	15

დაფაზე განლაგებული ექვსი სიმბოლო სხვადასხვა სფეროს აღნიშნავს.

ერთდროულად გააგორე ორივე კუბურა. ვთქვათ დაჯდა **ბ** და **6**, მათ გადაკვეთაზე პოულობთ სიმბოლოს — ეს ნიშნავს, რომ კითხვა, რომელსაც უნდა უპასუხოთ, ცივილიზაციის სფეროდანაა და **20** ქულას იგებს. მოძებნეთ კითხვა შესაბამის სექტორში და იფიქრეთ. ვთამაშობთ სექტორების ამოწურვამდე. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს გამოიყენოს ორი დახმარება: ზარი რედაქციაში და წიგნში ჩახედვა.



ასტრონომია

5 — ამ შენობებს უხსოვარი დროიდან აგებდნენ, მაგრამ არა საცხოვრებლად, არამედ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად (თბილისში VIII საუკუნის ბოლოს აუშენებიათ, ქუთაისთან ახლოს, გელათში — XII ს.-ში, აბასთუმანში — 1932 წელს...). რა ჰქვია ამ სახის დაწესებულებებს?

10 — ვარსკვლავთა ამ უზარმაზარი ერთობლიობის ქართული ხალხური სახელწოდებებია „ხარის ნავალი", „დევის ნამუხლარი". რას უწოდებენ მას მეცნიერები?

15 — ეს კაცი უდიდესი ზღვაოსანი იყო. მისი სახელი ჰქვია დედამიწასთან ყველაზე ახლოს მდებარე გალაქტიკას და ერთ-ერთ სრუტეს. ვინ არის ის?

20 — ბერძნულიდან სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, გამოგვივა „ცხოველების წრე". რომ არა ეს წრე, ვინ იცის, სად ივლიდა მზე და რით გაერთობოდნენ ასტროლოგები?

25 — „მთვარე, ასპიროზ, მარიხი, მოვლენ და მოწმედ მყვებიან..." — ვეფხისტყაოსნის ამ სტრიქონებში მზის სისტემის ორი პლანეტაა მოხსენიებული (ძველქართული სახელწოდებებით). რა ჰქვიათ ამ პლანეტებს დღეს?

30 — თუ დედამიწიდან მთვარეზე გავფრინდებით თვითმფრინავით, რომელიც საათში გადის 500 კილომეტრს, 32 დღე-ღამეში მივაღწევთ მას. რამდენი დღე-ღამე დაგვჭირდება მთვარემდე მისასვლელად, თუ გავემგზავრებით მატარებლით, რომელიც საათში 100 კმ-ს გადის.

გეოგრაფია

5 — ბერძენმა მეცნიერმა ერასტოთენემ (ჩვ. წ-მდე III საუკუნე) პირველმა გამოიყენა ეს სიტყვა. ამ სიტყვით მოიხსენიებენ მას, ვინც დედამიწის აღწერას ცდილობს.

10 — 8848 მეტრი... თუ დავამატებთ, რომ ეს მწვერვალის სიმაღლეა, მაშინვე მიხვდები, რაზეა საუბარი.

15 — თუ 100 გრამ ზღვის წყალს ავადუღებთ, მასში 35 გრამი ის ნივთიერება დარჩება, რომელმაც ერთ-ერთი ზღვა „მოკლა".

20 — კალენდარი, რომელსაც ჩვენ ძველ სტილს ვეძახით რომის ერთ-ერთი იმპერატორის სახელს ატარებს. რა ერქვა მას?

25 — დაახლოებით 300 წლის წინათ, ინგლისში ზოგი ბოროტმოქმედი ამჯობინებდა ჩამოეხრჩოთ, ვიდრე ისეთ ადგილზე გაეგზავნათ, სადაც მთელ ზამთარს ბნელა. სად აგზავნიდნენ მათ?

30 — 29 თებერვალს დაბადებულ ადამიანს რამდენ წელიწადში ერთხელ მოუწევს საკუთარი იუბილეს აღნიშვნა?

ფოტო კითხვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივილიზაცია

5 — 23 საუკუნის წინათ ანტიკური ხანის ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა თავის თხზულებებში აღნუსხა ცნობები პოსეიდონის წილხვედრი კუნძულის შესახებ, რომლის არსებობის კვალსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი დღემდე ჯიუტად ეძებს. რომელ გამქრალ მატერიკს აღწერდა პლატონი?

10 — შენ სულ ახლახან დაბრუნდი იმ ადგილას, რომელსაც უძველეს დროში შუმერები „ჰ-დუბ-ა“-ს უწოდებდნენ. მიხვდი?

15 — ეს ტერმინი ორი სიტყვის შერწყმაა: „პერ-აა“, რაც „დიად სახლს“ ნიშნავს. თავდაპირველად ის მართლაც შენობას აღნიშნავდა, მაგრამ მოგვიანებით სხვა მნიშვნელობა შეიძინა. ვის უწოდებდნენ ეგვიპტელები „პერ-აა“-ს?

20 — რით დასაჯა ღმერთმა ბაბილონელები, რომლებმაც ცათამბჯენი გოდოლის აგება მოისურვეს?

25 — ქვეყანას, რომელსაც შუმერები ნიმს უწოდებდნენ, სპარსელები — (ჰ)უაიას, თავად მისი მოსახლეობა კი — ხალთამთის, ჩვენ სულ სხვა სახელით ვიცნობთ. ახლა სწორედ ამ სახელის გახსენება დაგჭირდება.

30 — სოლომონის ტაძრის ზომები ძალიან შთამბეჭდავია: სიგრძე — 60 წყრთა (27,30 მ), სიგანე — 20 წყრთა (9,10 მ), სიმაღლე — 30 წყრთა, ე. ი. რამდენი მეტრი?

5

მზის სისტემაში ამ პლანეტას ყველაზე მეტი თანამგზავრი ჰყავს.

10

ვის ეკუთვნის ეს რუკა?

არქეოლოგია

5 — ის, ვინც „ძველ სიტყვას (მოძღვრებას)“ მისდევს, პოულობს დამსხვრეულ ქოთნებს და ჩონჩხებს. ვინ არის ის?

10 — პაპამ დაამტკიცა, რომ ჰომეროსის პოემებში ისტორიული ფაქტებია მოთხრობილი და უდიდესი არქეოლოგის სახელით შევიდა ისტორიაში; შვილიშვილმა პლატონის ნაამბობის რეალურობის დამტკიცება სცადა, მაგრამ მსოფლიომ ის დიდ ოინბაზად მონათლა. ვინ იყვნენ ისინი?

15 — ის ან მოგებას მოგიტანს, ან წაგაგებინებს; სკოლის მასწავლებელს გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდს კი ლურსმული დამწერლობის გაშიფვრაში დაეხმარა.

20 — ბაბილონის რომელი მეფის წარმომავლობას გვამცნობს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული რელიკვია — ბაბილონის უძველესი სასახლის აგური?

25 — სიტყვა „არქეოლოგია“ მაშინ არავინ იცოდა და მაგრამ ის ეძებდა, იკვლევდა, სწავლობდა სხვადასხვა ნივთების წარმომავლობას. ვინ არის ის, ვისაც პირველი ეგვიპტოლოგი უწოდეს და ვისაც მსოფლიოს პირველ არქეოლოგად მიიჩნევენ?

30 — თუ შანიდარის 100000 წლის წინანდელ ისტორიაში არქეოლოგები 3000 თაობას გულისხმობენ, დმანისში აღმოჩენილი 1 800 000 წლის წინ მცხოვრები ჰომო ერგასტერის მერამდენე თაობა ვართ ჩვენ?

15

რას იგებდნენ ამ ქვაზე ამოკვეთილი ნიშნებით აცტეკები?

20

სად არის აღმოჩენილი ჩვ. წ.-მდე XVIII-XVII სს.-ით დათარიღებული ეს ბარძიმი?

მითოლოგია

5 — ქართული მითოლოგიური წარმოდგენით, მზე დედაა, მთვარე — მამა, ვარსკვლავები —?

10 — ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია სამი საშინელი ქალი — გორგონი, რომლებსაც თმის ნაცვლად თავზე გველები ჰყავდათ შემოხვეული. რა ერქვა იმ გორგონს, რომელსაც გმირმა პერსევსმა თავი მოსჭრა?

15 — ეგვიპტური მითოლოგიით, ვის უთმობს ღამით ადგილს მზის ღმერთი **რა?**

20 — ამ რომაული ღმერთის სახელი ჰქვია გაზაფხულის ყველაზე ჭირვეულ თვეს.

25 — აფრიკელი დოგონების მითებში იმდენად ზედმიწევნითი ცნობებია მოცემული დიდი ძაღლის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ უკაშკაშეს ვარსკვლავზე. რას უწოდებენ მეცნიერები ამ ვარსკვლავს?

30 — შუმერული კოსმოლოგიური პოემა „ენუმა ელიში“ მზის სისტემის შექმნის დასაწყისს აღწერს. თუ ასტრონომიულ მონაცემებს მოვიშველიებთ, რამდენი წლის წინათ მომხდარ კოსმოსურ მოვლენებს ასახავს ეს პოემა?

25

ბაბილონის მეფე. ცნობილია მისი კანონების კრებული.

30

რა უცნაური ზოომორფული ატრიბუტი ჰქონდა საბაელთა ლეგენდარულ დედოფალს?





დაეხმარეთ დეპუტატებს, გამოცხადდნენ პარლამენტის სხდომაზე

რა წერია
ტრანსპარანტზე?



იპოვეთ ხუთი განსხვავება
ორ პარლამენტარს შორის

ვაშლი და ურჩხული

ფრანგული ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ერთი ღარიბი კაცი. ვაშლის ხის მეტი ქვეყანაზე არაფერი ებადა, მაგრამ რად გინდა, ნაყოფს არ ისხამდა. დაღონებული მოხუცი მიადგებოდა ღობეს და სინანულით გასცქეროდა მეზობლის დახუნძლულ ვაშლის ხეებს. სულ იმას ნატრობდა, ერთი ცალი ვაშლი მაინც გამოისხას ჩემმა ხემო.

მალე საწადელი აუხდა. ერთ გაზაფხულს ვაშლის ხის ტოტიდან ერთმა ყვავილმა გამოანათა. ისე გაიხარა მოხუცმა, სიხარულისგან მოსვენება დაკარგა. დღეში ათჯერ მაინც მივიდოდა ვაშლის ხესთან და ყვავილს შესცქეროდა. მალე ყვავილმა ნაყოფი გამოიტანა. ნაყოფმა დღითიდღე დაიწყო ზრდა. მალე იმხელა გახდა, მნახველს აკვირვებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, მოხუცმა ვაშლი მოწყვიტა, დადო ურემზე და გასაყიდად წაიღო. ბაზარში ვაშლს ყველა უნდობლად უყურებდა. მოხუცი იფიცებოდა, გემრიელი ვაშლიაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა? სად გაგონილა ამოდენა ვაშლი, თუ კარგია, თვითონ რატომ არ შეჭამეთ!

შებინდდა და ვაშლი არავინ იყიდა. დაღონებულმა მოხუცმა წამოიღო შინ ვაშლი და რადგან შესაჭმელად ვერ გაიმეტა, შეინახა.

იმ ხანებში ქვეყანას ერთი საშინელი ურჩხული შემოეჩვია. გაუმაძღარმა ურჩხულმა მთელი მოსავალი გაანადგურა. ხალხს შიშის ზარს სცემდა. ხელმწიფემ თავისი ვეზირები მოიხმო და უბრძანა:

— ურჩხული რაიმე საჭმელით მოიტყუეთ და მოკალითო.

რა არ იღონეს ვეზირებმა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს ის ვეებერთელა ვაშლი მოაგონდათ. მივიდნენ მოხუცთან და უთხრეს:

— ეგ ვაშლი უნდა მოგვცე, ასეთია ხელმწიფის ბრძანებაო.

მოხუცი უარს როგორ იტყოდა. გაუხარდა კიდეც.

ვეზირებმა ურჩხულის ბუდესთან ძლივს მიაგორეს ვაშლი. ურჩხული მაშინვე მივარდა ვაშლს და...

ჩემო პატარა, შენი ყურადღება ამ „სევდიან გვერდს“ მინდა მივაპყრო. აქ შენი თანაგოლების ზღვა ცრემლი და სევდაა თავმოყრილი, ის გაუსაძლისი ტკივილია აბოთქმული, რომელიც დედის, მამის, ძმის, ძმის, საერთოდ, ახლობლის დაკარგვით არის გამოწვეული...

ვიცი, განწყობილება შეგეცვლება, შენც დადარდიანდები. სამწუხაროდ, ისევე როგორც ლხინი, ამ წუთისოფელში ჭირიც მარადიულია. საბედნიეროდ, ტკივილის მკურნალი დროა – დროთა განმავლობაში ყველა ტკივილი ნელ-ნელა ყუჩდება, ქრება და მის ადგილს ისევ ბედნიერი წუთები იჭერს.

ცხოვრება ასეა მოწყობილი!

ულევი სიხარული და ნაკლები წყენა ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, ჩემო პატარებო!

დოდო დეიდა



ზოთიკო ბაკურია

დედა, მიჭირს უშენობა,
დედა, ძლიერ მენატრები,
დედა, რა ვქნა მე უშენოდ,
როგორ გავახილო თვალი?!
დედა, მიკვირს, რომ ვერ გხედავ
ვერ ვიჯერებ მე შენს სიკვდილს,
შენს საფლავთან როცა ვდგავარ,
თითქოს მიწაც შენ დაგტირის.

ნანა ბაკურია

ცას ღრუბლები შეეყარა,
ვუხმობ დედას, მეშინია,
არ დამტოვო დედი, დედი,
მეშინია, მეშინია.
სად ხარ, მინდა რომ ვიცოდე,
სითბო მინდა გულის შენის,
არ დამტოვებ, ვიცი, ვიცი,
მჯერა შენი, გამოჩნდები.

სალომე ჩიტაძე

კახა ბიძიას!

დაბადების დღეს გილოცავთ,
ძვირფასო კახა ბიძია,
შენი ნახვა და ალერსი
ძალიან მოგვნატრებია.
არ შეგვეგებე, არ ჩანხარ,
ალბათ, თუ სტუმრობ დედიკოს.
ყველანი ერთად იქნებით –
შენ, დედაცა და დაიკოც.
თქვენისთანები არ კვდებით,
მაღლა – ზეცაში მიდიხართ,
უკვდავებაში ცხოვრობთ და
ღმერთების რჩეულები ხართ.



ბავშვთა შემოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიკო დაუშვილი, 15 წლის

წყაროსთან

ნახატი მარიამ ბექურიშვილის, 12 წლის

ზაფხული იყო. ცაზე გამეფებული მცხუნვარე მზე არავის ინდობდა და სიცხისგან შეწუხებული ადამიანები წყაროსკენ მიიჩქაროდნენ.

ცაცხვის ხესთან ყურებჩამოყრილი, ენაგადმოგდებული ძაღლი იჯდა და მილიდან გამომწვევად მოჩუხჩუხე წყალს თვალს არ აშორებდა. ახლა მისთვის ერთი ყლუპიც კი დიდი შვება იქნებოდა, მაგრამ წყაროსთან არავინ უშვებდა.

— აქ მოდი! — დაუძახა რიგში მდგარმა პატარა ბიჭმა, რომელსაც ხელში ჩაიდანი ეჭირა.

ძაღლი უცნობს კუდის ქიცინით მიუახლოვდა.

— გადი, ძაღლო! — ზიზღით შეტოკდა რიგი.

— სწყურია, ცოდოა, — სიბრალულით თქვა ბიჭმა.

— გაჩუმდი, თორემ რიგს დაკარგავ! — გააფრთხილა წვერიანმა კაცმა.

ბიჭმა ჩაიდანი წყაროს შეუშვირა. ძაღლიც ფეხდაფეხ მიჰყვა და დრუნჩზე ცივი წვეთები სასიამოვნოდ მიეშხეფა.

— მოშორდით აქედან! — იღრიალა წვერიანმა და კოჟრიანი ჯოხი მოიქნია.

ბიჭი და ძაღლი უმალ ცაცხვის ხესთან გაჩნდნენ. წყურვილისაგან გაწამებული ძაღლი საბრალოდ მისჩერებოდა. ბიჭმა ჩაიდანი დაუდგა. ძაღლი წყალს დაეწაფა.

მეგობარი ვიპოვე, გაეღიმა ბიჭს. ალბათ ძაღლიც იმასვე ფიქრობდა, რადგან კუდს გამალებით აქიცინებდა. მერე დაღმართზე დაეშვნენ, ბიჭი ცარიელი ჩაიდნის რაკარუკით, ძაღლი კი მხიარული კუნტრუშით.

მათემატიკური თავსატეხები

გიორგი მეტრეველი

* * *

ერთ სკაში ორჯერ თორმეტზე
ათით ნაკლები თაფლია,
სხვაში კი თხუთმეტ კილოგრამს
სულ ერთი კილო აკლია...
ორივეს წონა, ძამია,
რამდენი კილოგრამია!

* * *

ჩამობერტყა ნინომ წაბლი,
სულ ოთხმოცი ცალი,
ექვსჯერ ხუთი მისცა ნიკას,
ხუთჯერ ექვსი ლალის...
დარჩენილის მეხუთედი
დაუტოვეს ლაშას,
ახლა შენ თქვი: კეთილ გოგოს
რამდენიღა დარჩა?

* * *

დათვმა ნახა ჰანტა მსხალი,
ჩამოკრიფა ასი ცალი...
ბელებს მისცა ოც-ოცი და
რაც მას დარჩა,
როცა თვლიდა,
მოიპარა ზღარბმა ათი.
აბურდღუნდა უცებ დათვი,
თქვა:
— დანარჩენს აღარ დავთვლი!

ვუკარნახოთ ჰირფჩენიას,
თვითონ რაღა დარჩენია?

უცნაური ძღვენი

სპარსეთის მეფე დარიოს I-მა თავისი ზეობის ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში (ჩვ. წ.-მდე 522-486 წწ.) უზარმაზარი იმპერია შექმნა.

დარიოსმა, მეფეთმეფემ, დაიპყრო ყველა მეზობელი სახელმწიფო და თითქმის ყველა ცნობილი ქვეყანა. მისი სახელის წინაშე ყველა შიშით ძრწოდა.

მხოლოდ ბერძნებმა და სკვითებმა გაბედეს წინ აღდგომოდნენ დიდი დამპყრობლის სურვილს და შეპბრძოლებოდნენ მის მრავალრიცხოვან არმიას.

სკვითები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე გადაჭიმულ სტეპებში მომთაბარეობდნენ. თავიანთ რემებს, ანუ თაბუნებს დუნაის, დნესტრის, დნეპრისა და დონის ქვედა დინებებში აძოვებდნენ. სვამდნენ კუმისს* და ღამეებს ქეჩის კარვებში — იურტებში ათენებდნენ. ეცვათ გამოყვანილი ტყავის სამოსი. თუმცა სკვითურ ყორღანებში არქეოლოგებმა ოქროს მრავალი ნივთი აღმოაჩინეს, მათთვის ყველაზე სანუკვარი მაინც თავისუფლება გახლდათ. ამ მეომარ ხალხს მხოლოდ სამი ღმერთი ჰყავდა: ცის ღმერთი, კერიის ღმერთი და ომის ღმერთი. ეს სამი ღმერთი, ფაქტობრივად, განსაზღვრავდა მათ რეალურ ცხოვრებას — სკვითისათვის ცა თავისუფლების სიმბოლო იყო, კერია — სიმყუდროვისა და სიცოცხლის უწყვეტობისა, ომი — თავისუფლებისა და ფიზიკური არსებობის გარანტია.

ჰოდა, ერთ დღეს უკიდეგანო იმპერიის მბრძანებელმა და მეფეთმეფე დარიოსმა ამ ხალხის დამონება გადაწყვიტა. დარიოსი ის კაცი იყო, ვინც წარმოთქვა შემდგომ ფრთიან ფრაზად ქცეული სიტყვები: „დაყოვნება სიკვდილის ტოლფასია!“ ასე რომ, განიზრახა თუ არა უძლეველმა მეფემ და დიდმა სარდალმა სკვითების დამონება, მაშინვე შეჰყარა თავისი ურიცხვი ლაშქარი და სტეპების ოკეანეში გადაეშვა. თავისუფლებისმოყვარე ხალხთან ბრძოლა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე დარიოსი ვარაუდობდა — ცხენებზე ამხედრებული სკვითი მშვილდოსნები ანაზღეულად ლანდებივით გამოკრთებოდნენ, ისართა შავ ღრუბლებს დაატეხდნენ თავს სპარსელებს და თვალის დახამხამებაში უჩინარდებოდნენ. თითქმის ორი თვე სდია დარიოსმა სკვითებს. რაც უფრო ღრმად და შორს შედიოდა სტეპებში, მით უფრო იშვიათდებოდა მდინარეები, ხოლო ჭები ან ამოვსებული და ამოგზიალი ხვდებოდათ, ან მოწამლული. გაწამებულმა დარიოსმა, რაკი ბრძოლით ვერას გახდა, გადაწყვიტა ელჩები მიეგზავნა ამ ველური ხალხისთვის.

ელჩები სკვითთა ტომის ბელადს, მოხუცს, მაგრამ გაუტეხელ იდანტირს მიადგნენ და დიდი მბრძანებლის დანაბარები გადასცეს: „რატომ გაგვირბიხართ, სკვითნო?! თუ ძლიერნი ხართ, გამოდით ბრძოლის ველზე; თუ სუსტნი — გამომიგზავნეთ ერთი მუჭა თქვენი მიწა, ჭურჭლით წყალი თქვენი სტეპებისა და გამომიცხადეთ მორჩილება.“

მოხუც იდანტირს ჩაეღიმა. უკიდეგანო ველებს მზერა მოავლო და „სტუმრებს“ მიმართა:

— ვინ გითხრათ, სპარსელებო, რომ გაგრიბივართ? არა, ჩვენ მომთაბარენი ვართ, ადგილიდან ადგილზე გადავდივართ. ასეთია ჩვენი წესი უხსოვარი დროიდან. ასეთ ყოფას ვართ ჩვეულნი და ახლა როგორღა გადავეჩვიოთ?

— მაშ, რა გადავცეთ მეფეს? — ჰკითხეს ელჩებმა.

კუმისი — ცხენის ან აქლემის რძისგან დამზადებული სასმელი

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იდანტირს ისევ გაეღიმა, მერე თავის მეომართაგან ერთ-ერთს რაღაც ანიშნა და სკვითმაც იმავე წუთს კალათა მოართვა ბელადს. მოხუცმა სპარსელ ელჩებს გადასცა იგი: აი, ეს მიართვით თქვენს მბრძანებელსო.

როცა დარიოსმა კალათს თავი ახადა, იქიდან ჩიტი ამოფრინდა და ცაში აიჭრა, მერე თაგუნა გამოძვრა, გასუნსულდა და მიწაში ჩაძვრა, ბოლოს კი ბაყაყი ამოხტა, სკუპ-სკუპ! ისკუპა და წყალში გაუჩინარდა.

გაოცებულმა დარიოსმა კალათაში ჩაიხედა. იქ ხუთი ბრინჯაოსბუნიკიანი ისარი იდო.

— ბოლოს და ბოლოს ისინი დამმორჩილდნენ! — აღტაცებით წამოიძახა დარიოსმა. — ჩიტი ცის ბინადარია, თაგუნა — მიწის, ბაყაყი — წყლის. ისინი მაძლევენ თავიანთ ცას, თვალუწვდენელ ველებს, მდინარეებს და ჭებს. ეს ისრები კი იმის მაუწყებელია, რომ იარაღს ყრიან, ნიშნად მორჩილებისა.

— არა, მეფეთმეფეო, — წინ წამოდგა ერთ-ერთი დიდებულთაგანი. — მე კარგად ვიცი მათი ბუნება და ადათ-წესები. ამ საჩუქრებთ სკვითები გვითვლიან: თუ ჩიტივით არ გაფრინდებით აქედან, თუ თაგვივით მიწაში არ ჩაძვრებით და ბაყაყივით წყალში არ გაუჩინარდებით, მაშინ ამ ისრებთ მოგეღებათ ბოლოო, — დაასრულა დიდებულმა და უკუდგა.

დარიოსი კარგა ხანს დუმდა და ბოლოს თქვა:

— სკვითებს არ უყვართ ოქრო, თვალი არ მისდით ძვირფას მეწამულ ქსოვილებზე, არ იზიდავთ ძვირფასი ჭურჭლეულობა. ამგვარი რამეებთ მხოლოდ ფინიკიელ და ბაბილონელ ვაჭრებს მოისყიდით...

მბრძანებელმა თვალი მოავლო დიდებულებს და სარდალთა შეყრა ბრძანა.

უნდა დავიხიოთ, გავეცალოთ აქაურობას! — ასეთი იყო თათბირის გადაწყვეტილება.

დარიოსმა მეორე დღესვე აჰყარა ლაშქარი.

მოამზადა
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲒᲘᲐ ᲚᲐᲤᲐᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘ)

სექტემბერი ლათინური სიტყვაა და მეშვიდეს ნიშნავს. რომაელებისათვის ეს იყო წელიწადის მეშვიდე თვე (მარტიდან). ძველ საქართველოში სექტემბერი ახალწლისად იწოდებოდა, იმის გამო, რომ ჩვენში ახალი წელი 1 სექტემბრიდან იწყებოდა. შემდგომში მან ენკენისთვის (ბერძნ. ეკენია — განახლება) სახელწოდება მიიღო.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ (ᲡᲗᲕᲚᲘᲡᲐ)

თვის სახელწოდება წარმოდგება ლათინური „ოქტოდან“ და რვას (მერვეს) ნიშნავს. ოქტ-რი იულიუს კეისრის (ქრისტეს შობამდე I ს.) მიერ ჩატარებულ კალენდრის რეფორმამდე მე-8 თვე იყო. ეს სახელწოდება შერჩა მას შემდეგაც, როცა ახალი წელი 1 იანვრიდან დაიწყო და იგი რიგით მე-10 ადგილზე მოექცა. ქართული წარმართული კალენდრით, ოქტომბერს სთვლისა ეწოდება. მისი ხალხური სახელწოდებებია ღვინობისთვე და მწიფობისთვე.

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲒᲘᲝᲠ�გᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ)

კალენდარული წლის მე-11 თვის სახელწოდება წარმოდგება ლათინურიდან და ცხრას — მეცხრეს აღნიშნავს. ქართული წარმართული კალენდრით ნოემბერს ტირისკონი (ტირისკნისი) ეწოდება. ზოგ კუთხეში ამ თვეს ჭინკობისთვეს ეძახიან. ამ თვის ხალხური სახელწოდებაა გიორგობისთვე, რაც ქრისტიანულ კალენდართანაა დაკავშირებული, რადგან ამ თვის 10 (23 ნოემბერს) აღინიშნება წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამება.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ)

დეკემბრის, კალენდარული წლის მეთორმეტე თვის სახელწოდება ლათინურია და მეათეს ნიშნავს (სანამ ძველი რომაელები წელიწადის ათვლას 1 იანვრიდან დაიწყებდნენ, მათ კალენდარში დეკემბერი მეათე თვე იყო). წარმართი ქართველები ამ თვეს ირანული წარმოშობის სახელს — ტირიდენს ეძახდნენ; საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი ხალხმა მას ქრისტეშობისთვე უწოდა, რადგან 25 დეკემბერს იდღესასწაულება შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ „ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე ომიაძე

გასალახი ვიქნები

წერა-კითხვას არ ვსწავლობ,
მაგისთვის არ მცალია.
დედიკო და მამიკო
განიცდიან ძალიან.
დეიდებიც დელავენ,
ოხრავს ჩემი ბიძიაც,
სექტემბერი კარზეა,
რა ქნან, ადარ იციან.
სკოლის ჩანთა მიუიდეს,
ახატია ციცინები.
შიგნით რა არ აწყვია —
რვეულები, წიგნები.
ახლაც რომ არ ვისწავლო,
გასალახი ვიქნები.

ნაზი თარგამაძე

ქარს ძილი გაუტეხია

თურმე ქარს ბებოს ფანჯრების
მინები ჩაუმტვრევია,
თან შეუერია ოთახში
რაც კი ამქვეყნად მტვერია.
ძილიც კი გამიტეხაო,
ქარს ემდუროდა ბებია,
და მთელი ღამე ბებიკოს
ძილგამტედარს უთენებია.

ლია კობალაძე

თვლა თუ იცით...

— სამი... ხუთი... ერთი... ათი
თათის ქნევით ითვლის დათვი.
მელაკუდა ზის და აქებს:
— აუ, როგორ არაკრაკებს!
არ უჯერებს ტურა ეურებს:
— დახეთ, როგორ აბულბულებს!
ეშმაკურად ცქმუტავს ციყვიც:
— ნუ გგონიათ დათვი ბრიყვი!
გადაბეირდნენ ბაყაყები:
— ეიეი...
— ეიეი...
— ეიეი...
— ეიეი...
დრუნჩა ითვლის: ათი...ორი...
ახარხარდა ახლა ღორიც...
შელრუტუნა კოდალასო:
— რად არ იღებ, ნეტავ, ხმასო?
ხეკაკუნავ, გესმის, დათვმა
სულ არ იცის, თურმე, დათვლა!
ხეკაკუნამ ვადმოსძახა:
— არ გრცხვენიათ? რატომ ძრახავთ?
ამდენ ფუტკუნ-ხარხარ-სიცილს
ვერ ასწავლით, თვლა თუ იცით?

მხატვარი
მანანა მორჩილაძე

ვაჟა ბაბუ

ფოტოლექსები

ოცნებას ვერვინ დამიშლის:
რაც უნდა ვიყო —
დღესა ვარ;
თოჯინები და ბალიში —
ჩემი სამყარო
ესაა.

ქართველს ქართლის ნათება
ოდითგანვე ჩვევად აქვს,
ამ სანთლების ამნთები
თუ ვინმეა — ჩვენა ვართ.

მოვიწვიე სადილად,
შევიჩვიო ეგების,
მიყვარს, მაგრამ
ნამდვილად
მეშინია ლეკვების.

მანქანებიც, კარადებიც,
სკამებიც და მერხებიც,
ყველაფერი ყირავდება,
რასაც ხელით ვეხები;
მართალია, გიორგი ვარ,
ღმერთკაცის ვარ ნაგრამი,
მაგრამ მაინც ვერ გავიგე —
რა ძალა მაქვს ამგვარი.

მიჭირს დადაბლება
სამყურამდე,
ხეთა გულისცემას ვაყურადებ,
სისუსტე სუსტს როგორ
დავუმადლო?!
მძლავრი ძლიერება მაგულადებს.

გილოცავთ დაბადების დღეს!

ხ 34/36

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ალეკო გაბელაია, ნანი კაკაჩია, ნანა კვარაცხელია, მაგდა კვაჭანტირაძე, გია ლაფაური, ირმა ლიპარტელიანი, თეა მიქაია, ციცინო მეზვრიშვილი, თამარ ნინიკაშვილი, ვაჟა ჟუჟუნიძე

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30;

გამოდის 1904 წლიდან; ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი